



ვინც ეკლესიას არ უსმენს, არ უსმენს ღმერთს და მისი აზროვნება სიკეთესა და ბოროტებაზე იცვლება. მაგალითად მე-20 საუკუნეში წინასწარ განსაზღვრული მკვლელობა (აბორტი) მისაღები და ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოში. **დიდი სიფრთხილეა საჭირო ტელეგადაცემების ყურების დროს, სადაც რეკლამას უწევენ მაგებს, ჰიპნოზიორებს, მკურნალებს, რომლებიც სასწაულებს ახდენენ ბოროტი ძალების საშუალებით.** მკურნალი ან მლოცველი, რომელიც ღვთის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ სინანულისკენ არ მოგიწოდებს, იმყოფება სიცრუეში. ასევე ტელესერიאלების მთავარი მოქმედი პირების უმრავლესობას არა აქვს სინანული.

მწუხარებას ზოგი ღვინით, ზოგი ტელეგადაცემებით, ზოგი წამლით იქარავებს, მაგრამ თუ ადამიანი ამქვეყნად არ მიეჩვენება ლოცვას-ღმერთთან ურთიერთობას, თუ სული არ განიწმინდება აღსარებისა და ზიარების საიდუმლოთი, საიქიოში ღვინოს, ტელევიზორს და წამალს ვეღარ გამოიყენებს და საშინლად დაიტანჯება. **წამალს რომ ვსვამთ იკურნება სხეული, აღსარებისა და ზიარების საიდუმლოთი კი განიწმინდება სული.**

ღმერთს ყველას გადარჩენა უნდა, განურჩევლად ეროვნებისა. შენც ღვთის შვილობა თუ გინდა ყველა უნდა გიყვარდეს, ბოროტება უნდა გძულდეს, მაგრამ ბოროტებას დამორჩილებული ადამიანი უნდა გეცოდებოდეს, მის გამოსწორებას უნდა ცდილობდე და ევედრებოდე ღმერთს. ეცადე ყველას სიკეთე გაუკეთო, მიუხედავად იმისა დაგიფასებენ თუ არა, იქნებთან თუ არა მადლიერნი. დაეუკვირდეთ საკუთარ თავს, რა წარმართავს შენს ცხოვრებას ღვთისა და მოყვასის სიყვარული თუ ეგოიზმი. ის რაც სიყვარულის გარეშე კეთდება, ცოდვად შეგერაცხება.

გახსოვდეს, რომ ღმერთი ყველგან გხედავს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის მოწყალეობას. მთავარია მივიღოთ მტკიცე გადაწყვეტილება ცოდვების არ განმეორებისა და ქრისტეს რწმენა, **გახსოვდეს, რომ სასოწარკვეთილება, უიშელობა ყველაზე დიდი ცოდვაა.**

ნათლისღებით ადამიანი იწმინდება ცოდვებისაგან, მას მიუტევება როგორც მეძვიდრეობითი, ასევე პირადი ცოდვები. ნათლისღების საიდუმლო მხოლოდ ერთხელ აღესრულება, ჩვენ კი მუდმივ განწმენდას ვსაჭიროებთ; ამისთვის ღმერთმა დაგვიდგინა საიდუმლო სინანულისა, რომელშიაც მორწმუნე მღვდლის წინაშე ცოდვათა

აღიარებით თვით ქრისტესგან ღებულობს ცოდვების მიტევებას.

ეს საიდუმლო დააწესა იესო ქრისტემ, რომელმაც მოციქულებს უბრძანა: “უკეთუ ვიეთინიმი მიუტევნეთ ცოდვანი, მიუტევნენ მათ და უკეთუ ვიეთინიმი შევიპყრეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იოანე 20,22-23).

ყველა ცოდვა, რომელიც ჩავგიდენია, ჩვენს გულშია ჩაწერილი; წმიდა მამები გულს სინდისის წიგნსაც უწოდებენ. ჩვენი განკითხვა სწორედ ამ წიგნში ჩაწერილი ცოდვა-მადლის მიხედვით მოხდება.

ექიმთან რომ მივდივართ, ხომ არ გვავინტერესებს მისი პირადი ცხოვრება. ასევე მოძღვართან რომ მიდინარ, მის პიროვნულ ნაკლზე ნუ ვაბამხვილებ ყურადღებას, გახსოვდეს რომ მოძღვრის სიწმინდეზე არ არის დამოკიდებული შენი ღვთისგან შეწყალება და ცოდვების მიტევება, **ღმერთი უყურებს გულს. მტკიცედ უნდა გვქონდეს გადაწყვეტილი, რომ აღარ შევცოდავთ და უნდა გვწამდეს ღვთის წყალობის. მხოლოდ ასეთი სინანულით შეიძლება მივიღოთ ცოდვათა მიტევება.**

სანამ აღსარებაზე მივიდოდეთ, კარგად უნდა გამოვიკვლიოთ საკუთარი თავი და მისწრაფებანი. აღსარების დროს რაიმე რომ არ გამოგვრჩეს, შეიძლება მათი ჩაწერაც.

აღსარების დროს არ უნდა გვრცხვენოდეს საკუთარი ცოდვების აღიარების, უნდა ფიქრობდეთ ღმერთზე, რადგან ღმერთი ყველაფერს ხედავს და მის წინაშე არაფერია დაფარული. ჩვენ ერთი კაცის წინაშე გვრცხვენია ცოდვების აღიარება და გვაფიცდება, რომ თუ არ შევინანეთ, არა თუ ერთი და ორი კაცის, არამედ ყოველთა დაბადებულთა წინაშე განცხადდება იგინი,- გვასწავლის წმ. მამა იოანე ოქროპირი. ძველად (I-III სს) აღმსარებელი ყველას წინაშე სახალხოდ აღიარებდა საკუთარ ცოდვებს, შემდგომში კი ამგვარი წესი თანდათან შეიცვალა და დღეს იგი ხდება საიდუმლოდ, მხოლოდ სულიერი მოძღვრის წინაშე.

ყველა ქრისტიანს უნდა გვყავდეს ჩვენი მოძღვარი, რომელთანაც ცოდვებს მოვინანიებთ და მოვისმენთ სულიერ რჩევა-დარიგებებს.

აღსარებისას მოძღვართან მივდივართ კრძალულებით, მივიღებთ მისგან ლოცვა-კურთხევას და თავდახრილი, შემუსვრილი გულით ვღიარებთ და ვინანიებთ ცოდვებს.

აღსარების დროს არ შეიძლება ყოფით პრობლემებზე ლაპარაკი, სხვადასხვა მიზეზებით ცოდვების გამართლება, სხვებზე გადაბრალება, თავის მართლება და გულგრილი საუბარი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მართლნი ვართ და არაფერი შეგვიცოდავს; არც იმის თქმა შეიძლება,

რომ ყველაფერში ცოდვილები ვართ და ყველაფრის პატიებას ვითხოვთ. თავდაპირველი აღსარების დროს არ არის საჭირო ყოველი ცოდვის კონკრეტული გამოვლინებების აღწერა. გვახსოვდეს, რომ “ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას, ხოლო ვიცით, რამეთუ ძე ღმრთისა მოვიდა და მომცა ჩვენ გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი“ (იოანე 5,19-20). **უნდა ვინანიებდეთ არამართო სიტყვით, არამედ გონებითაც, არა მართო ჩადენილ ცოდვებს, არამედ მათკენ მიდრეკილებებსაც. თუ რომელიმე ცოდვისაგან განშორება არ შეგიძლია, არ დაუმალო სულიერ მოძღვარს, რადგან უღირსად თუ ეზიარები დაისჯები ღვთისაგან.**

უმოკლესი აღსარება

1. ცოდვები ღმერთის წინააღმდეგ
 სიზმრების, მკითხაობის, შესვენებებისა და სხვა ნიშნების ნდობა; რწმენაში დაჭკვება, ლოცვის დაზარება და ლოცვის დროს გაფანტულობა, ეკლესიაში სიარულის, აღსარებისა და ზიარების მიტოვება, ღმრთის თაყვანისცემაში ფარისევლობა, ღმრთის გმობა ან თუნდაც დრტყინვა ღმერთზე გულში თუ ხმამაღლა, თავის მოკვლის განსაზღვრა, ცრუ ფიცვი, ღმერთისადმი მიცემული აღთქმის შეუსრულებლობა; მკრესხლობა, მრისხანებისას არაწმიდა ძალის (ეშმაკის) სხენება, კვირა დღეებში ან დღესასწაულებზე წორვის დამთავრებამდე ჭამა, მარხვის გატყვევა ან მისი არაზუსტი დაცვა, დღესასწაულებზე მუშაობა.

2. ცოდვები მოყვასის წინააღმდეგ
 საკუთარი მოვალეობისა ან საკუთარი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, უფროსების უპატივცემულობა, პირობის შეუსრულებლობა, ვალის გადაუხდელობა, სხვისი კუთვნილების ძალით მიტაცება ან ფარულად მითვისება, სიძუნწე მოწყალეობის გაცემისას, მოყვასისათვის გულისტყენა, ჭორაობა, ცილისწამება, წყევლა, უსაფუძვლო უჭევები, უდანაშაულო კაცის ან სამართლიანი საქმის დაუცველობა, მშობლების უპატივცემულობა, შვილებზე ქრისტიანული ზრუნვის მიტოვება, შუღლი ოჯახურ ცხოვრებაში.

3. ცოდვები საკუთარი თავის წინააღმდეგ
 ამბო ან გარყვნილი აზრები, მოყვასისათვის ცუდის სურება, ფარისევლური ლაპარაკი, გაღიზიანება, სიჯიუტე ან თავისმოყვარება; შური, სიძულვილი, გულის უღმობელობა, შეურაცხყოფის ან წყენის მოუთმენლობა,

შურისძიება, ვერცხლისმოყვარება, ტკობისადმი მიდრეკილება, ბილწისტყვაობა, მაცთური სიმღერები, ლოთობა და მუცელღორობა, სიძვა, მრუშობა, არაბუნებრივი სიძვა, საკუთარი ცხოვრების გამოსწორებაზე უზრუნველობა.

ღმრთის ათი მცნების საწინააღმდეგო ამ ცოდვებს შორის ზოგიერთი, აღწევს რა კაცში თავის განვითარების უმაღლეს საზომს, ბიწიერ მდგომარეობად იქცევა, გულს შეუწანებლობით ასასტიკებს და განსაკუთრებით მძიმე, ღმრთის წინააღმდეგო ცოდვად შეირაცხება.

სასიკვდილო ცოდვები, რომლებიც ადამიანს საუკუნო სიკვდილსა და წარწყმენდას უქადიან

1. ამპარტავენება, რომელიც არავის არაფრად აგდებს, სხვებისაგან მონურ მორჩილებას მოითხოვს, მზად არის ზეცად აღვიდეს და უზენაესს გაუტოლდეს, მოკლედ, ესაა საკუთარი თავის გაღმერთებამდე მისული ამპარტავენება.
2. სულის გაუმადლობა, ანუ ფულისადმი იუდასეული სიყვარული, რაც ძირითადად უკანონო შენაძენთანაა შეერთებული. ეს სიხარბე კაცს ერთ წუთსაც არ აძლევს სულიერზე ფიქრისათვის.
3. სიძვა, ანუ ძე შეცთომილისეული მემრუშე ცხოვრება, რომელმაც ამგვარ ცხოვრებაში მამის მთელი მემკვიდრეობა გაფლანგა.
4. შური, რომელსაც კაცი ყოველგვარ ბოროტებამდე მიჰყავს.
5. გემოთმოყვარება, რომელიც არავითარ მარხვას არ სცნობს, შეერთებული სხვადასხვა გართობისადმი განსაკუთრებულ სიყვარულთან-სახარებისეული მდიდრის მსგავსად, მთელი ცხოვრება განცხრომაში რომ გაატარა.
6. დაუოკებელი მრისხანება, რომელიც მზად არის საშინელ ნგრევაზე-ჰეროდეს მსგავსად, მრისხანების ჟამს ბეთლემში ყრმები რომ გაჟლიტა.
7. სიზარმაცე, ანუ საკუთარ სულზე სრული უზრუნველობა, სინანულის გადადება ბოლო დღემდე, როგორც, მაგალითად ნოეს დროს.

სულიწმიდის გამობის ცოდვები

ღმერთზე მეტისმეტი სასოება, ანუ ცოდვილი ცხოვრების გაგრძელება მხოლოდ ღმერთის მოწყალეობის იმედით. ამის საპირისპირო ცოდვა-სასოწარკვეთილება, რომელიც უარყოფს ღმერთის მამობრივ სახიერებას და თვითმკვლელობის აზრს ბადებს.

შეუვალი ურწმუნობა, რომელსაც ჭეშმარიტების ვერავითარი მტკიცება ვერ არყევს, თვით აშკარა სწავლულებიც კი. ეს ის ურწმუნობაა, ყველაზე ცნობილ ჭეშმარიტებასაც რომ უარყოფს.

ცოდვები, რომლებიც ზეცას შეჰღალადებენ შურისძიებისათვის

საერთოდ, განზრახ მკვლელობა (აბორტი), განსაკუთრებით კი მამის მკვლელობა (ძმისა და მეფის მკვლელობა). სოდომური ცოდვა ღატაკი და უმწეო ადამიანების, ქვრივ-ობლების ჩაგვრა. საწყალი მუშისათვის გამომუშავებული საზღაურის დაკავება.

კაცისათვის ოფლითა და სისხლით მოპოვებული უკანასკნელი გროშის ან ლუკმის წართმევა, ტუსადისათვის განკუთვნილი მოწყალეების, საკვების, სამოსისა თუ სიტბოს აშკარა ან ფარული მიტაცება, საერთოდ მათი ჩაგვრა.

მშობლებისათვის გულის ტკენა, შეურაცხყოფა, მათზე ხელის აღმართვა.

თუ მოძღვარმა რამდენიმე ხნით განგვაყენა ზიარებისაგან, ჩვენ მორჩილად უნდა დავეყუთ მის ლოცვა-კურთხევას და არ უნდა ვეძიოთ სხვა მოძღვარი, რომელიც ჩვენი აზრით, უფრო იოლად შეგვიწინარებს.

ცოდვებს, რომელთაც ერთხელ მოვიწინაიებთ და შემდგომში აღარ გავგიმეორებია (აბორტი, მკითხაობა, ტყუილზე ფიცი), თუ ძალიან არ შეგვაწუხს, აღსარებაში აღარ ვიმეორებთ. სხვა მხრივ კი შეიძლება თავი შევიკავოთ ცოდვისაგან, მაგრამ მათკენ მიდრეკილება ყოველთვის გვექნება. ამიტომ ჩვენ მუდმივად უნდა ვინანიებდეთ მათ და ხშირად ვემზადებოდეთ წმიდა ზიარებისათვის. მხოლოდ ეკლესიაში, ღვთის სახლში შეიძლება აღსრულდეს ჭეშმარიტი განკურნება.



გთხოვთ, გაუფრთხილდეთ ბუკლეტს, მასზე გამოსახული ჯვრისა და წმიდა ტექსტების გამო!



✠
✠

აღსარებისთვის

(განცდა თვისთა ცოდვათა)



✠
✠